ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1962870

ნომერი: AR1312998

თარიღი : 25.05.2015

გაცემის თარიღი : 18.06.2015

გაცნობის თარიღი : 18.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებლის , მე-13 კილომეტრი , (ნაკვ.14/579) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკატერინე აბრამია პ/ნ 01019023569
- თამარაშვილის 13, ბ.93

ორგანიზაცია:
- შპს გრინპაკი კოდი: 405059573

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 9 დეკემბრის N1618232 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 25/05/2015წ. #AR1312998 განცხადებით მომართეს შპს "გრინპაკი"-ს დირექტორმა პაატა აბრამიამ და ეკატერინე აბრამიამ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2014 წლის 9 დეკემბრის N1618232 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 9 დეკემბრის N1618232 გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრი შპს „გრინპაკი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.72.14.014.579) ოფისის მშენებლობის მიზნით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. მოგვიანებით, სამსახურის 26.01.2015წ. №1698276 ბრძანებით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ოფისის (დამხმარე სასაწყობო მეურნეობით) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აქტში დამკვეთად დაფიქსირდა შპს "გრინპაკი".
საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის №882014692264, მომზადების თარიღი: 24/12/2014 14:18:24) თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.72.14.014.579) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „გრინპაკი“.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15100727, 07/05/2015 14:55:07) თანახმად, შპს „გრინპაკის“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი პაატა აბრამია.

ასევე, სამსახურში 2015 წლის 25 მაისს შემოვიდა AR1313008 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სამსახურის N1698276 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება. აღნიშნული განცხადება სამსახურის 2015 წლის 18 ივნისის N1962843 ბრძანებით დაკმაყოფილდა და ძალადაკარგულად გამოცხადდა 26.01.2015წ. №1698276 ბრძანება.
AR1313008 განცხადებით წარმოდგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათებით დასტურდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელებულა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1–ლი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არ გააჩნია 2014 წლის 9 დეკემბრის N1618232 აღმჭურველი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ გავითარების ინტერესი და აღნიშნული აქტის საფუძველზე, მშენებლობა ნაწარმოები არ არის, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ეკატერინე აბრამიასა და პაატა აბრამიას 25/05/2015წ. #AR1312998 განაცხადი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 9 დეკემბრის N1618232 ბრძანება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge